



სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი

განხილული და მიღებულია სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის
ფაკულტეტის საბჭოზე 29.03.2018, #5
დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით #70/2

თბილისი 2018

მუხლი 1. სამაგისტრო ნაშრომი

- 1.1. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ სამეცნიერო-კვლევით/ანალიტიკურ და პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის ღია სხდომაზე.
- 1.2. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობაა მინიმუმ 50 გვერდი. ტელე-რადიო ჟურნალისტიკის მიმართულებისთვის თეორიული ნაშრომის მოცულობაა 35-40 გვერდი, ხოლო პრაქტიკულის ქრონომეტრაჟი (ტელეპროდუქტი) 20-25 წთ.
- 1.3. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული დარგობრივი ცოდნის სისტემატიზაცია, კვლევითი, პრაქტიკული, შემოქმედებითი უნარების გამოვლენა, კერძოდ:
 - დარგის/ქვედარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხებისა, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას;
 - სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომში უნდა შეძლოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება; უნდა გამოავლინოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, სრული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
 - ნაშრომში შემოქმედებითად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით.
 - პრაქტიკულ ნაშრომში უნდა ჩანდეს სტუდენტის მზაობა დამოუკიდებელი ტელეპროდუქციის მომზადების სფეროში. თანამედროვე ფორმები, მეთოდები და ტელეპროდუქციის აგების უახლესი სტრუქტურა
- 1.4. სამაგისტრო ნაშრომისათვის მისანიჭებულ კრედიტების რაოდენობას ფაკულტეტები განსაზღვრავენ დამოუკიდებლად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის თემა

- 2.1. სამაგისტრო ნაშრომის სავარაუდო თემას და სამეცნიერო ხელმძღვანელს მაგისტრანტი ირჩევს სწავლების მესამე სემესტრის დასაწყისში, შესაბამისი პროგრამული მიმართულების მიერ განსაზღვრული თემატიკების ფარგლებში მოცემული თემების ჩამონათვალიდან.
- 2.2. ამ პერიოდში ხდება მაგისტრანტისა და იმ პროფესორის მოსაზრებათა შეჯერება, რომელიც შემდგომ უხელმძღვანელებს მის სამაგისტრო ნაშრომს. ამისთვის მაგისტრანტს შეუძლია ისარგებლოს პროფესორის საკონსულტაციო საათებით.
- 2.3. მაგისტრანტს უფლება აქვს მესამე სემესტრის განმავლობაში, სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მოითხოვოს არჩეული თემის დასახელების კორექტირება ან თემატიკის ჩამონათვალში ახალი დასახელების თემის დამატება.

2.4. მეოთხე სემესტრის დასაწყისში (არაუგვიანეს 1 კვირისა) სამაგისტრო ნაშრომის დაზუსტებულ თემას და სამეცნიერო ხელმძღვანელს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ამტკიცებს დეკანი.

მუხლი 3. მაგისტრანტის ხელმძღვანელი

- 3.1. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი აგრეთვე, დოქტორის ხარისხის მქონე უფროსი მასწავლებელი და/ან მოწვეული სპეციალისტი.
- 3.2. სამაგისტრო ნაშრომზე მომიჯნავე სპეციალობებში მუშაობისას შეიძლება დამატებით დაინიშნოს კონსულტანტი.
- 3.3. ხელმძღვანელი ვალდებულია:
 - 3.3.1. დაეხმაროს მაგისტრანტს სამუშაო გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დაზუსტებაში.
 - 3.3.2. პერიოდულად შეამოწმოს თემაზე, პრაქტიკულ ნაწილზე მუშაობის მიმდინარეობა, გამოთქვას მოსაზრებები და გაუწიოს შესაბამისი კონსულტაციები.
 - 3.3.3. განუმარტოს მაგისტრანტს უფლება-მოვალეობები.
 - 3.3.4. გაუწიოს კონსულტაციები მაგისტრანტს ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და აკონტროლოს მისი შესრულება.
 - 3.3.5. სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ მოამზადოს წერილობითი დასკვნა, რომელშიც ასახული უნდა იქნეს:
 - ნაშრომის სათაური;
 - მაგისტრანტის ვინაობა;
 - ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები;
 - მაგისტრანტის შრომისუნარიანობა და სხვა უნარ-ჩვევები;
 - ნაშრომის ზოგადი შეფასება;
 - ნაშრომის შინაარსის შესაბამისობა სამაგისტრო სპეციალობასთან;
 - დასკვნა ნაშრომის საჯარო დაცვაზე დამზების მიზანშეწონილობის შესახებ.
 - 3.3.6. ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას თავისი მოვალეობის შესრულებაზე. ამ შემთხვევაში მან გონივრულ ვადაში, წერილობით, სათანადო არგუმენტაციით უნდა მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც განიხილავს უარის საფუძველს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გამოყოფს ახალ ხელმძღვანელს.
 - 3.3.7. თუ ფაკულტეტის საბჭო არ ეთანხმება ხელმძღვანელის უარის საფუძველს, ან/და უარის განაცხადის ვადა შეუძლებელს ხდის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას და მის მიერ მოვალეობის შესრულებას, ხელმძღვანელი ვალდებულია გააგრძელოს და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

4.1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ეფუძნება შეფასების 100 ქულიან სისტემას, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ქულა	შეფასება
შეფასების 91-100 ქულა	A - „ფრიადი“
მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა	B - „მაღიან კარგი“

მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა	C - „კარგი“
მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა	D - „დამაკმაყოფილებელი“
მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა	E - „საკმარისი“

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა	Fx - „ვერ ჩააბარა“
მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები	F - „ჩაიჭრა“

- 4.2. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად 4.1. პუნქტში გათვალისწინებული სქემის მიხედვით.
- 4.3. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის მიერ.

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და დაცვა

5.1. სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვა

5.1.1. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ინიშნება ნაშრომის წინასწარი განხილვა

5.1.2. წინასწარი განხილვისათვის არ არის აუცილებელი ნაშრომის აკრძალული სახით წარდგენა. ტელეფურნალისტიკის მიმართულებისთვის აუცილებელია პრაქტიკული ნაშრომის პროექტის, სცენარის წარმოდგენა.

5.1.3. წინასწარ განხილვაზე სამაგისტრო ნაშრომს წარადგენს მაგისტრანტი.

5.1.4. სამაგისტრო ნაშრომს წინასწარ განიხილას პროგრამული მიმართულების აკადემიური პერსონალი. აგრეთვე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უფროსი მასწავლებელი და/ან მოწვეული სპეციალისტი.

5.1.5. ნაშრომი განიხილება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

ბ) კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიება, სრული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

გ) შესრულებული სამუშაოს მოცულობა.

დ) პრაქტიკული ნაშრომისთვის პროექტის და სცენარის შესაბამისობა ტელეპროდუქციისთვის განკუთვნილ მოთხოვნებთან.

5.1.6. წინასწარი განხილვის საფუძველზე პროგრამული მიმართულება წერს დასკვნას, რომელიც აისახება პროგრამული მიმართულების სხდომის ოქმში. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, მიმართულება რეკომენდაციას უწევს მაგისტრანტს, ნაშრომის დასასრულებლად დამატებითი დროის გამოყოფის თაობაზე და აცნობებს მაგისტრატურის დეპარტამენტს.

5.1.7. დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი საჯარო დაცვამდე არა უგვიანეს ორი კვირისა, გადაეცემა რეცენზენტს.

5.1.8. თუ სამაგისტრო ნაშრომის დასრულება, საპატიო მიზეზის გარეშე, ვერ ხორციელდება შესაძლო ვადებში, მაგისტრანტი მიმდინარე სემესტრში არ დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე და მისი შეფასება განიხილება F - „ჩაიჭრა“ - დ.

- 5.1.9. საპატიო მიზეზით სამაგისტრო ნაშრომის შესაძლო ვადებში დაუსრულებლობის შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება აქვს, იმავე სამაგისტრო ნაშრომზე, მუშაობა გააგრძელოს შემდეგი ორი წლის განმავლობაში დაფინანსების გარეშე.
- 5.1.10. საპატიო მიზეზით სამაგისტრო ნაშრომის განხილვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება აქვს იმავე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა გააგრძელოს შემდეგი ორი წლის განმავლობაში დაფინანსების გარეშე.
- 5.1.11. წინასწარი განხილვის შემდეგ, არა უგვიანეს ორი კვირისა მაგისტრანტი საბოლოოდ დასრულებულ სამაგისტრო ნაშრომს ელექტრონულ ვერსიასთან (CD) ერთად წარადგენს მაგისტრატურის დეპარტამენტში.
- 5.1.12. სამაგისტრო ნაშრომის საპატიო მიზეზით დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში, სტუდენტი დაიშვება მხოლოდ დამატებით დაცვაზე.

5.2. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება

- 5.2.1. პროგრამული მიმართულება გამოყოფს სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტს, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
- 5.2.2. რეცენზენტი შეიძლება იყოს, როგორც შესაბამისი პროფილის სამეცნიერო (ან აკადემიური) ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე უფროსი მასწავლებელი და/ან მოწვეული პერსონალი.
- 5.2.3. რეცენზენტს ნაშრომი უნდა გადაეცეს დაცვამდე არაუგვიანეს 2 კვირით ადრე.
- 5.2.4. რეცენზენტი, დაცვამდე არაუგვიანეს 5 დღისა, წარმოადგენს ნაშრომზე წერილობით რეცენზიას დასკვნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების შესაძლებლობის შესახებ.
- 5.2.5. რეცენზენტი სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებას ახორციელებს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:
 - ა) თემის აქტუალობა, ქართული და უცხოური ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მეთოდოლოგია;
 - ბ) კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიება, სრული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
 - გ) ნაშრომის შესრულების დონე.
 - დ) ტელეჟურნალისტიკის მიმართულებაზე პრაქტიკული ნაშრომის შესაბამისობა თეორიულ ნაშრომთან და ტელეპროდუქციისთვის მონიჭებულ მოთხოვნებთან და სატელევიზიო პროექტის სტანდარტებთან.
- 5.2.6. რეცენზენტის უარყოფითი დასკვნა არ წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე უარის თქმის საფუძველს.

5.3. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა

- 5.3.1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, კომისიის შემადგენლობას რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭო. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.
- 5.3.2. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას დამსწრეთა 3/5-ის არსებობის შემთხვევაში.
- 5.3.3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ სტუდენტი იწყებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვას.
- 5.3.4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე ხდება მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ პუნქტი 4.1. მიხედვით.

5.3.5. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:

- სამაგისტრო ნაშრომის წარდგენას (15 წუთი);
- კითხვა-პასუხს;
- დისკუსიას;
- შეფასებას.
- პრაქტიკული ნამუშევრის დემონსტრირებას

5.3.6. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს და ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით, რომლებიც გაწერილია დოკუმენტში „წერთი ნაშრომების შესრულების სტანდარტები“ (დამტკიცებული აკადემიურ საბჭოზე 5. 23.03. 2017, #11) და პროგრამაში გაწერილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (პრაქტიკული ნამუშევრისთვის)

5.3.7. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დროს კომისიის სხდომა იხურება.

5.3.8. კომისიის გადაწყვეტილებას სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასების შესახებ მაგისტრანტებს აცნობს კომისიის თავმჯდომარე სხდომის დამთავრებისთანავე.

5.3.9. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

5.3.10. ოქმი და უწყისი წარედგინება ფაკულტეტს და შეფასება შედის მაგისტრანტის სასწავლო ბარათში.

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის დამატებითი დაცვა

6.1. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (Fx) შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დამატებით გასვლის უფლება.

6.2. სტუდენტს უფლება აქვს დამატებით დაცვაზე გავიდეს იმავე სემესტრში, პირველი დაცვიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.

6.3. თუ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება შეადგენს 40 ქულას და ნაკლებს (F) სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დამატებით დაცვაზე არ დაიშვება და მის შეფასებად ჩაითვლება “F” (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით.

6.4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ გამოცხადების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით დაცვაზე.

6.5. საპატიო მიზეზით დამატებით დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება აქვს იგივე სამაგისტრო ნაშრომი პროგრამული მიმართულების რეკომენდაციის საფუძველზე დაიცვას მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაფინანსების გარეშე.

6.6. უარყოფითი შეფასების მიღებისას მაგისტრანტს უფლება აქვს მომდევნო ორი წლის განმავლობაში, პროგრამული მიმართულების რეკომენდაციით, შეასრულოს იგივე სამაგისტრო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით თვით დააფინანსოს ნაშრომის ხელახალი მომზადება-დაცვა.

6.7. სტუდენტს, რომელმაც დადგინდეს ვადებში ვერ დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი, სწავლების თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ მიეცემა სათანადო მოწმობა (აკადემიური ცნობა) სასწავლო კურსების, მიღებული შეფასებების და კრედიტების მითითებით. აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელლობის შემთხვევაში მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი

- 7.1. სამაგისტრო ნაშრომის პარამეტრები და გაფორმება უნდა აკმაყოფილებდეს დოკუმენტში „წერთი ნაშრომების შესრულების სტანდარტები“ (დამტკიცებული აკადემიურ საბჭოზე 5. 23.03. 2017, #11) გაწერილ მოთხოვნებს.
- 7.2. სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს აკინძული (ყდაში ჩასმული). პრაქტიკული ნამუშევარი უნდა იყოს წარმოდგენილი DVD დისკზე.

მუხლი 8. პლაგიატი

- 8.1. პლაგიატი - ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების, კვლევის შედეგების და სხვა გამოყენება არასათანადო წესებით (ნაბეჭდი ან ელექტრონული წყაროს მითითების გარეშე).
- 8.2. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება დაცვაზე ან იხსნება დაცვიდან, რაც ფორმდება, როგორც უარყოფითი სემესტრული შეფასება. სტუდენტს უფლება აქვს მომდევნო ორი წლის განმავლობაში შეასრულოს ახალი სამაგისტრო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით დააფინანსოს ნაშრომის მომზადება.

მუხლი 9. დრამისა და კინო-ტელე ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის კონცენტრაციებში გათავლისწინებული სამაგისტრო ნაშრომის პარამეტრები და მოთხოვნები გაწერილია ამ დოკუმენტის დანართ 1-ში.

მუხლი 10. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის ძალაში შესვლა.

- 10.1. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი მტკიცდება რექტორის ბრძანებით და ძალაშია მისი გამოცემის დღიდან.